



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მოდუ-შენახვის პროგრამა





1000 -ზე მეტი ძროხის სხვადასხვა ჯიში გვხვდება მსოფლიოში. ზოგადი კლასიფიკაციით სარძევე, სახორცე და კომბინირებული (სარძეო-სახორცე). საქართველოში სარძევე და კომბინირებული ჯიშებია გავრცელებული. ტრადიციული შენახვის გზა კი საძოვრულ-ბაგურია.

საძოვრულის შენახვა- დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველის ჯანმრთელობისთვის. საძოვარზე ცხოველი სრულფასოვან, მწვანე საკვებს იღებს, დროის დიდ ნაწილს სუფთა ჰაერზე, მოძრაობაში ატარებს, მზის სხივების ზემოქმედების ქვეშ. სასურველია ცხოველი დღე-ღამის განმავლობაში 10-14 საათი საძოვარზე იმყოფებოდეს. ძოვების ოპტიმალური დრო კი დილის და საღამოს პერიოდია. ზაფხულის ცხელ დღეებში, შუადღისას ცხოველი სასურველია ჩრდილს შევაფაროთ.

ბაგურის შენახვა-განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში გასათვალისწინებელია ვინტილაცია. ძვირადღირებული სავინტილაციო დანადგარების შექმნა არ არის აუცილებელი, საკმარისია შენობის სახურავი წამოიწიოს და ღია ნაპირალი გაკეთდეს. ბაგაში უნდა შემოდის საკმარისი სინათლე, არ ციოდეს (საკმარისია 6-8°C) და ცხოველი იდგეს მშრალ ქვეშა-გებზე. სინათლის კოეფიციენტი 1:10- დან 1:15-მდე მერყეობს. რაც იმას ნიშნავს, რომ ფანჯრების ფართი 10-15-ჯერ აღემატება იატაკის ფართს. ფანჯრის განთავსება კი პირუტყვის თვალის ზემოთ ხდება. თუ ფერმის ამენებას აპირებთ, გაითვალისწინეთ რომ 18-20კვ-ა საჭირო თითო ცხოველზე, ხოლო იატაკის 2 სმ-იანი დახრილობაა გასათვალისწინებელი პირუტყვის უკანა

კიდურებისკენ, სანიაღვრე არხში შარდის გასასვლელად. სასურველია, ბაგასთან ახლოს, მცირე ტერიტორიის მოწყობა ზამთრის პერიოდში ცხოველთა გასაყვანად. ცხოველის ფიზიკური აქტივობის გარეშე ძნელია პროდუქტიულობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება.

ცხოველის დაწყურვება- ცხოველის ჯანმრთელობაზე დიდ გავლენას ახდენს წყალი და მისი ხარისხი. თუ ცხოველი არასაკმარისად იღებს წყალს, კარგი კვების პირობებშიც კი დაბალია მისი პროდუქტიულობა. ცხოველის დაწყურვება უნდა ხდებოდეს ნებაზე და თუ ამის საშუალება არ არის, წყლის მიცემა სასურველია კვების ჯერადობას ემთხვეოდეს. წყალთან წვდომას ცხოველი დღე-ღამის განმავლობაში მინიმუმ 3-4 ჯერ საჭიროებს. საძოვრული შენახვისას გარემო პირობები უნდა გავითვალისწინოთ. ცივ ამინდში ცხოველი ნაკლებ წყალს იღებს, ხოლო მოთხოვნა იზრდება თბილ და ცხელ დღეებში. წყლის სისუფთავე უმნიშვნელოვანესი საკითხია. ასევე, თუ ცხოველის დაწყურება ატმოსფერული ნალექების (წვიმის, ნადნობი თოვლის) შედეგად წარმოქმნილ წყალსაცავში ხდება, დღიურ რაციონში სალოკი ბლოკის დამატებაა საჭირო. წვიმის წყალში მარილების და სხვა მინერალური ნივთიერებების შემცველობა ნაკლებია.

სალოკი ბლოკი- არის მინერალებით და მარილებით გაჯერებული დანამატი, რომელიც დღის განმავლობაში ეძლევა ცხოველს. იგი ცხოველის ორგანიზმს ენერგიით უზრუნველყოფს, რაც თავის მხრივ პროცესების დროული მიმდინარეობის წინაპირობაა. სალოკი ბლოკის ფონზე იზრდება ცხოველის პროდუქტიულობა, ნაყოფის განვითარება მუცლადყოფნის პერიოდში. გაითვალისწინეთ, რომ სალოკი ბლოკის გამოყენების დროს ცხოველს თავისუფალი წვდომა უნდა ჰქონდეს წყალთან.



დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ

 ვეტერინარ- _____
მისამართი: _____ ტელ.: _____



**მომზადებულია იმერეთის ვეტერინართა
რეგიონული ასოციაციის მიერ**

ბროშურა დაიბეჭდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში
„საქართველოში აგრობიზნესის ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური
პროფესიული განათლების განვითარება“